GEORGIAN

საგრანტო კონკურსი

ტრანსი და არაბინარული ჯგუფებისა და ორგანიზაციებისთვის

ორგანიზაცია RFSL - *შვედური ფედერაცია ლგბტქი უფლებებისთვის*, იღებს საპროექტო განაცხადებს, ტრანსი და არაბინარული თემის უნიკალურ საჭიროებებზე მომუშავე ჯგუფების, ინიციატივებისა და ორგანიზაციებისგან.

საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ვიწვევთ ინიციატივებს/ჯგუფებს/ორგანიზაციებს:

- რომლებსაც ტრანსი და არაბინარული ადამიანები უძღვებიან და, რომლებშიც თემის წევრებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ და სათანადოდ არიან წარმოდგენილები;
- რომლებსაც შეუძლიათ აჩვენონ ტრანს და არაბინარულ თემთან მჭიდრო კავშირი. მაგალითად თუ, ინიციატივა/ჯგუფი/ორგანიზაცია არის წევრობაზე დაფუძნებული, აქვს ყოველწლიური საერთო კრება ან/და აქვს სტრატეგიული შეხვედრები თემის წევრებთან და ა.შ;
- რომლებიც თავის საქმიანობაში ცხადად ხელმძღვანელობენ ტრანსი და არაბინარული თემის საჭიროებებითა და უკუკავშირით;
- რომლებიც დაფუძნებულები არიან ან/და მუშაობენ საქართველოში
    - **შენიშვნა**: ჯგუფებს, ინიციატივებს, ორგანიზაციებს, რომლებიც საქართველოდან არიან, მაგრამ ომის/ კონფლიქტის ან/და სხვა უსაფრთხოების რისკების გამო იძულებულები გახდნენ სხვა ქვეყანაში გადასულიყვნენ, ასევე შეუძლიათ მოცემულ კონკურსში მონაწილეობის მიღება, თუკი აკმაყოფილებენ აქ მითითებულ სხვა კრიტერიუმებს.
- რომლებიც **არ არიან მხოლოდ** სერვისების მიწოდებით დაკავებულები (ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ სერვისების მიწოდება ბევრი სათემო ორგანიზაციის საქმიანობის მნიშვნელოვანი ნაწილია, თუმცა აპლიკაცია

ორგანიზაციის/ჯგუფის/ინიციატივის საქმიანობის სხვა ასპექტებსაც უნდა აჩვენებდეს)

მიუხედავად იმისა, რომ შერჩევის პროცესში უპირატესობა მიენიჭება ავტონომიურ, თემის წევრების მიერ მართულ ორგანიზაციებს/ჯგუფებს/ინიციატივებს, ჩვენ **ასევე ვიწვევთ** ტრანსი და არაბინარული აქტივისტების მიერ მართულ ინიციატივებს და ჯგუფებს, რომლებიც უფრო ფართო ლგბტქი არასამთავრობო ორგანიზაციების ბაზაზე მობილიზდებიან/მუშაობენ.

აპლიკაციების მიღების ბოლო ვადაა **2023 წლის 8 იანვარი, 23:59 CET**. პროექტის **ხანგრძლივობა არ უნდ აღემატებოდეს 12 თვეს**.

პროექტი **შეიძლება ყველაზე ადრე იწყებოდეს 2023 წლის 1 აპრილს**.

პროექტის ბიუჯეტი **არ უნდა აღემატებოდეს 80 000 შვედურ კრონას** (დაახლოებით 7300 ევრო)

საინფორმაციო შეხვედრები

იმისათვის, რომ შევძლოთ აპლიკაციასა და ბიუჯეტზე კითხვებს დეტალურად გავცეთ პასუხი, მსურველებს შეეძლებათ მონაწილეობა მიიღონ RFSL-ის მიერ გამართულ საინფორმაციო სესიებში. სესიები გაიმართება 9-16 დეკემბრის პერიოდში სხვადასხვა ენაზე, ქართულის ენის ჩათვლით. მონაწილეობის მისაღებად, გთხოვთ, დარეგისტრირდეთ ამ ბმულზე.